2021 წლის მარტის გამოცემა

გლობალური ფირმები პანდემიის მიუხედავად განაგრძობენ ზრდას

ბუღალტრული ფირმების გლობალურმა ქსელებმა და ასოციაციებმა ბიზნესისთვის ერთ-ერთი ურთულესი წლის მიუხედავად მაინც შეძლეს ზრდის ჩვენება.



ბუღალტრული აღრიცხვის გლობალური ქსელების და ასოციაციების ეფექტიანობის 2020 წლის ანალიზიდან გამომდინარე, *ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო ბიულეტენში* (2021 წელს) ასახული კვლევა მიუთითებს, რომ ჰონორარის სახით მიღებული შემოსავალი ქსელებისთვის შეადგენდა 210 მლრდ. აშშ დოლარს (3 % -იანი ზრდა წინა წელთან შედარებით), ხოლო ასოციაციებისთვის 31 მლრდ. აშშ დოლარს (2% -იანი ზრდა).

კვლევის თანახმად, მოსალოდნელია ბუღალტრული აღრიცხვის სერვისების გლობალური ბაზრის 5.4 % -იანი ზრდა, 544.06 მლრდ. აშშ დოლარიდან (2020 წელს) 573.29 მლრდ. აშშ დოლარამდე (წელს), კომპანიების მიერ თავიანთი ოპერაციების გადაჯგუფების და პანდემიის ზემოქმედების დაძლევის შედეგად.

საერთო შემოსავალი და ზრდა: 2003 – 2020

2003 წელს გლობალური ფირმების საშუალო ზრდამ 16% შეადგინა, 81 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობის საერთო შემოსავლით. მიუხედავად იმისა, რომ ჰონორარის სახით მიღებული შემოსავალი მუდმივად იზრდებოდა, მომდევნო წლებში (2020 წლის უმაღლესი მაჩვენებლით, რომელმაც 241.4 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა) ზრდის მაჩვენებელი 2003 წლის პიკურ მაჩვენებელზე ქვევით დაეცა. 2006 წელს მან 10%, 2010 წელს 2%, 2014 და 2019 წელს 6%, ხოლო 2020 წელს 3% შეადგინა.

ბუღალტრული აღრიცხვის ქსელებს და ასოციაციებს შორის ადგილი ჰქონდა ბიზნესმიმართულებების ზრდის არსებით განსხვავებებს. საგადასახადო და საკონსულტაციო სერვისების მაჩვენებელი შთამბეჭდავად გაიზარდა ასოციაციებისთვის, შესაბამისად 10% და 8% -ით, ხოლო ქსელებმა შესაბამისად მხოლოდ 3% და 4% -იანი ზრდა აჩვენეს. თუმცა, აღრიცხვასთან და აუდიტთან დაკავშირებული სერვისები შესაბამისად 5% -ით და 1% -ით გაიზარდა ქსელებისთვის, მაგრამ მხოლოდ 1% და 0% შეადგინა ასოციაციებისთვის.

მომსახურების მიმართულების ზრდა, 2020

ჰონორარის რეგიონული ზრდა, 2020

ასოციაციებს ქსელებისგან ასევე განსხვავებული რეგიონული გამოცდილება აქვთ, როცა საქმე ჰონორარის ზრდას ეხება. ასოციაციებმა ორნიშნა ზრდას მიაღწიეს აფრიკაში და ორნიშნა ზარალი აჩვენეს ახლო აღმოსავლეთში, ხოლო ქსელების შემთხვევაში, ორნიშნა ზრდა აღინიშნა ევროპაში და ახლო აღმოსავლეთში, ხოლო ზარალი (6%) მხოლოდ ლათინურ ამერიკაში დაფიქსირდა. ასოციაციებმა ზრდა ასევე აჩვენეს ევროპაში და აზიის წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში (შესაბამისად 6% და 7%) და ნულოვანი ზრდა ჩრდილოეთ ამერიკაში; 1% -იანი ზარალი აღინიშნა ლათინურ ამერიკაში. ქსელების შემთხვევაში ზრდა დაფიქსირდა ჩრდილოეთ ამერიკაში და აზიის წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში (შესაბამისად 6% და 2%), ხოლო ნულოვანი ზრდა დაფიქსირდა აფრიკაში.

პერსონალის ზრდის მაჩვენებელი დაახლოებით იმავე მოდელს მიჰვება როგორც ასოციაციების ისე ქსელებისთვის, რომელთაგან ეს უკანასკნელი უკეთესი მაჩვენებლებით გამოირჩევა. თანამშრომლების რიცხვი ევროპაში 11% -ით გაიზარდა ქსელებისთვის და 9% -ით ასოციაციებისთვის, ჩრდილოეთ ამერიკაში შესაბამისად 4% და 0%- ით, ახლო აღმოსავლეთში 10% -ით და 0%-ით, აფრიკაში 10% -ით და 6% -ით, ხოლო აზიის წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში 4% -ით და 2% -ით. ლათინურ ამერიკაში თანამშრომელთა რაოდენობა შემცირდა 3% -ით ქსელების და 6% -ით ასოციაციების შემთხვევაში.

პერსონალის რეგიონული ზრდა, 2020

მონაცემები ჰონორარის შესახებ – ქსელები

20 წამყვანი ქსელიდან ყველამ ორის გარდა (KPMG and Crowe) აღნიშნა ჰონორარის ზრდა 2020 წლის განმავლობაში. დიდი ოთხეულიდან Deloitte -მა გამოიმუშავა 47,600 მლნ. აშშ დოლარი 2020 წელს (ზრდა 3%-ით), PwC -მა 43,032 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 1% -ით), EY -მა 37,200 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4% -ით) და KPMG -იმ 29,220 მლნ. აშშ დოლარი (კლება 2% -ით). დარჩენილი 10 წამყვანი ფირმიდან BDO -მ გამოიმუშავა 10,264 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 7% -ით), RSM -მა 6,269 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 9% -ით), Grant Thornton -მა 5,757 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 1% -ით), Nexia International -მა 4,491 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 5% -ით), Crowe -მ 4,172 მლნ. აშშ დოლარი (კლება 5%- ით) და Baker Tilly International -მა 4,044 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 5 % -ით). რეიტინგში მე -11 პოზიციიდან მე -20-მდე HLB -იმ გამოიმუშავა 3,277 მლნ.

აშშ დოლარი (ზრდა 12 %-მდე), Moore Global -მა 3,137 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3% -ით), Kreston International -მა US$2,409 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4% -ით), Mazars -მა 2,263 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 14% -ით), ETL Global -მა 1,820 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 48 %-ით), PKF International -მა 1,473 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 1% - ით), SFAI -მ 728 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 12 % -ით), UHY International -მა 600 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3% -ით), Russell Bedford International -მა 594 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 13 %-ით) და ShineWing International -მა 533 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 9% -ით).

რეიტინგი	ფირმა	ჰონორარის სახით მიღებული შემოსავალი (აშშ $)
1	Deloitte	47,600.0
2	PwC	43,032.0
3	EY	37,200.0
4	KPMG	29,220.0
5	BDO	10,263.8
6	RSM	6,268.5
7	Grant Thornton	5,757.1
8	Nexia International	4,490.6
9	Crowe	4,171.8

რეიტინგი	ფირმა	ჰონორარის სახით მიღებული შემოსავალი (აშშ $)
10	Baker Tilly International	4,043.8
11	HLB	3,277.2
12	Moore Global	3,137.4
13	Kreston International	2,408.5
14	Mazars	2,262.7
15	ETL Global	1,819.8
16	PKF International	1,473.2
17	SFAI	728.0
18	UHY International	600.1
19	Russell Bedford International	593.6

რეიტინგი	ფირმა	ჰონორარის სახით მიღებული შემოსავალი (აშშ $)
20	ShineWing International	533.0

ჰონორართან დაკავშირებული მონაცემები (ასოციაციები)

2020 წლის განმავლობაში წამყვანი 10 ასოციაციიდან ყველამ ერთის გარდა (LEA Global /Leading Edge Alliance) ჰონორარის ზრდა აჩვენა. წამყვანი ხუთეულიდან Praxity -მ გამოიმუშავა 6,956 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 9% -ით), Allinial Global -მა 4,179 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 2% -ით), GGI -მ 3,160 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 6% -ით), PrimeGlobal -მა 2,926 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 10 %-ით) და LEA Global /Leading Edge Alliance -მა 2,144 მლნ. აშშ დოლარი (კლება 32 %- ით). ათეულში მომდევნო ხუთ პოზიციას იკავებენ BKR International 1,524 მლნ. აშშ დოლარით (ზრდა 7% -ით), DFK International -ი 1,487 მლნ. აშშ დოლარით (ზრდა 6% -ით), AGN International -ი 1,339 მლნ. აშშ დოლარით (ზრდა 3% -ით), IAPA 1,270 მლნ. აშშ დოლარით (ზრდა 1% -ით) და Morison KSi 978 მლნ. აშშ დოლარით (ზრდა 2% -ით).

რეიტინგი	ფირმა	შემოსავალი ჰონორარის სახით (მლნ. აშშ დოლარი)
1	Praxity	6,956.0
2	Allinial Global	4,178.6
3	GGI	3,160.0
4	PrimeGlobal	2,926.0
5	LEA Global/Leading Edge Alliance	2,144.2

რეიტინგი	ფირმა	შემოსავალი ჰონორარის სახით (მლნ. აშშ დოლარი)
6	BKR International	1,524.1
7	DFK International	1,486.7
8	AGN International	1,338.9
9	IAPA	1,269.7
10	Morison KSi	977.9